ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 40

ქ. ცაგერი 26 ნოემბერი 2010 წელი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესაბამისად განსახორციელებელ ღონისძიებათა მიმდინარეობის შესახებ -

---

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 იანვრის №41 განკარგულებით „ საქართველოს 2010 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის საფუძველზე „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს 2009 წლის 29 დეკემბრის №241 დადგენილების შესაბამისად ცაგერის მუნიციპალიტეტს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელებისათვის გამოეყო 423095 ლარი, სოფელში მცხოვრები კომლებისა და სულადობის მაჩვენებლების მიხედვით

ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის, ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობის და კეთილმოწყობის სამსახურის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციით სოფლების უმრავლესობაში განხორციელდა პროექტები, რომლებიც დასრულდა და მიღებულია შესაბამისი კომისიის მიერ. დაუსრულებელია ქვ. ცაგერის განსახორციელებელი პროექტი, რაც გამოიწვია იმან, რომ ნაკვეთი, სადაც კეთდებოდა სასაფლაო, არ იყო დარეგისტრირებული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში. ეს პრობლემა ამჟამად გადაწყვეტილია და მიმდინარეობს პროექტის განხორციელება, ზოგიერთი პროექტების გაჭიანურება გამოიწვია არსებულმა კლიმატურმა პირობებმა, განხორციელებულმა პროექტებმა გამოიწვია ხალხის დასაქმება, კერძოდ ამ პროექტებზე დასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 345 კაცი. აღსანიშნავია რომ პრობლემების თავიდან ასაცილებლად საჭიროა წლის დასაწყისისთანავე ყველა სოფლის რწმუნებულმა ამავე სოფლების მაჟორიტარ დეპუტატებთან ერთად მოიწვიოს სოფლის კრებები და „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ დაწყებისთანავე პროექტების განხორციელება მოხდება უპრობლემოდ და ორგანიზებულად.

---

1. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის შესაბამისად განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“ ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის სამსახურის ინფორმაცია მიღებული იქნეს ცნობად.
2. გამგეობის ტრანსპორტის, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის სამსახურმა (ი. ლარცულიანი) უახლოესი პერიოდისათვის მოამზადოს წინადადებები სოფელ ქვ. ცაგერში „სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამის შესაბამისად განსახორციელებელი პროექტის დასასრულებლად.
3. ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ, გამგეობამ და შესაბამისმა სამსახურმა გაატარონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება 2011 წელს „სოფლის დახმარების პროგრამის“ ორგანიზაციულად განხორციელებისათვის.
4. განკარგულების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცითი ტერიტორიული დაგეგმარების კომისიას (გ. მამარდაშვილი).

ცაგერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე: მამუკა ლეთოდიანი